ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მარტის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 04 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №6

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

04 მარატი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა -მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე

სათატბირო ხმის უფლებით:

ნონა ზურაბიანი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარის მოადგილე ,

ირმა ვაქერ-სებისკვერაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარის მოადგილე

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,
ვ. ჭიპაშვილი -საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე
მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N50/ 69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ,” ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის - უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ანზორ კიკნაძის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილი არის ჩამოშლილი, არსებობს საშიშროება განგრძობის და მოსახლეობას ექმნება საფრთხე, იქ შეიძლება დაინგრეს საცხოვრებელი სახლები, ახლა რომელი პროექტებიც ფინანსდება, რამდენად პრიორიტეტულია და ხომ არ იქნება უკეთესი გაკეთდეს ეს მონაკვეთი.

ვ. გელაშვილმა, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს პროექტები, რომელიც ფინანსდება არის გარდამავალი პროექტი, იყო დაწყებული და გრძელდება.

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რწმუნებული, რომელ პროექტსაც წარმოადგენს პრიორიტეტად იმას ვიწონებთ ჩვენ, რაკი დეპუტატმა დააყენა საკითხი ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიებმა შეისწავლონ საკითხი და წარმოადგინონ დასკვნა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიებს.

მოისმინეს: -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის - უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ,” ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

2 საკითხის განხილვა დაევალა იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარი ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N50/ 69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2022 წლის 07 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ,” ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“, რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე